ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3794252

ნომერი: AR1570336

თარიღი : 15.01.2018

გაცემის თარიღი : 26.01.2018

გაცნობის თარიღი : 27.01.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , N 108 / ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , N 8 , ნაკვეთი 03/041 / ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , N 108 , მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლადო ჭანტურია პ/ნ 01024032026
- თბილისი, მერი დავითაშვილის ქუჩა 27

ორგანიზაცია:
- შპს შარავანდი კოდი: 208190125

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 7 აგვისტოს №2052796 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 15 იანვარს №AR1570336 განცხადებით მომართა შპს „შარავანდი“-ს მინდობილმა პირმა ლადო ჭანტურიამ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 7 აგვისტოს №2052796 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების

შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 7 აგვისტოს №2052796 ბრძანებით, ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე N108-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.19.16.003.011; ფართობი: 17952 კვ.მ.) საწყობის აშენების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
სამსახურის 2015 წლის 7 სექტემბრის №2176791 ბრძანებით, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.16.003.011) შეთანხმდა საწყობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 07 სექტემბრიდან 2016 წლის 07 დეკემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2016 წლის 9 თებერვლის №2411613 ბრძანებით, ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 7 აგვისტოს №2052796 ბრძანებით დამკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა საამქრო და საწყობი, ხოლო ფუნქციად საამქრო, დამხმარე. შენიშვნის სახით დაფიქსირდა: „საჭიროებისამებრ მავნე ნივთიერებების ემისიების ინვენტარიზაცია და დასკვნა იმის შესახებ, რომ მავნე ნივთიერებების რაოდენობა არ აღემატება დასაშვებ ზღვრულ რაოდენობას;“.
სამსახურის 2016 წლის 13 თებერვლის №2432018 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი სამგორი, კახეთის გზატკეცილზე #108-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი #01.19.16.003.011), შეთანხმდა საამქროს არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 13.02.2016 წლიდან 13.02.2018 წლის ჩათვლით.
სამსახურის 2017 წლის 13 თებერვლის №3095885 ბრძანებით, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.19.16.003.011), შეთანხმდა საწყობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 13.02.2017 წლიდან 13.04.2017 წლის ჩათვლით.
დღეის მდგომარეობით განმცხადებელი ითხოვს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 7 აგვისტოს №2052796 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში აისახოს განახლებული საკადასტრო გეგმა.
დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, დადგინდა, რომ შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი, კონფიგურაცია, და საკადასტრო კოდი შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 2017 წლის 15 იანვარის №AR1570336 განცხადების დაკმაყოფილება და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 7 აგვისტოს №2052796 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 7 აგვისტოს №2052796 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს ახალი საკადასტრო გეგმა: (საკადასტრო კოდი: 01.19.16.003.075; განცხადების ნომერი: 892017107223; მომზადების თარიღი: 22/11/2017; ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო; ფართობი: 18597 კვ.მ.) საკადასტრო კოდად დაფიქსირდეს: N01.19.16.003.075, ფართობად:18597 კვ.მ.;
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 7 აგვისტოს №2052796 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს ჩანაწერი: „პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილ იქნეს საჯარო რეესტრის ამონაწერი განახლებული მონაცემებით, საიდანაც ამოღებული იქნება ვალდებულება: საგანი: მიწის დაზუსტებული ფართობი 579 კვ.მ. დარეგიქსრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე;“
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 7 აგვისტოს №2052796 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს ფუნქციური ზონების ამსახველი ახალი დანართი (იხ. დანართი);
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.